საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/07

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესში და წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება მოახდენს აფილირებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, უნივერსიტეტის ინტერესების/ საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის გათვალისწინებით, ან დეკანის დასაბუთებული/მოტივირებული წარდგინების საფუძველზე, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, ნახევარ განაკვეთზე, შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით, სხვა შემთხვევაში მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას.“

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**